# სსიპ კოლეჯის ,,აისი“ დირექტორის 2025 წლის ანგარიში განხორციელებული საქმიანობის შესახებ

## I. შესავალი

ქალბატონებო და ბატონებო, 2025 წელი სსიპ კოლეჯ „აისისთვის“ იყო განვითარების, გაძლიერებისა და სტრატეგიული გარდაქმნის მნიშვნელოვანი ეტაპი. წლის განმავლობაში კოლეჯმა არა მხოლოდ შეინარჩუნა პროფესიული განათლების მაღალი სტანდარტები, არამედ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა რეგიონული საგანმანათლებლო და საწარმოო ჰაბის ჩამოყალიბების მიმართულებით. ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, არის და იქნება ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, რომელიც სტუდენტებს მისცემს არა მხოლოდ თეორიულ ცოდნას, არამედ რეალურ, შრომის ბაზარზე მოთხოვნად პრაქტიკულ უნარებს. ამ მიზნის მისაღწევად 2025 წელს გაფართოვდა პარტნიორობა კერძო სექტორთან და დაინერგა სწავლების უფრო მოქნილი და შედეგზე ორიენტირებული მოდელები.

ინფრასტრუქტურული განვითარების მიმართულებით კოლეჯმა განახორციელა მნიშვნელოვანი ინვესტიციები სასწავლო-საწარმოო სივრცეებში, რაც საშუალებას გვაძლევს სტუდენტებს შევთავაზოთ თანამედროვე, რეალურ სამუშაო გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებული პირობები. ეს ცვლილებები წარმოადგენს საფუძველს იმ სისტემური გარდაქმნისთვის, რომელიც კოლეჯს აქცევს არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებად, არამედ რეგიონული ეკონომიკური განვითარების აქტიურ მონაწილედ.

2025 წელს კოლეჯმა მნიშვნელოვნად გააძლიერა თავისი როლი კახეთის რეგიონში ახალგაზრდების დასაქმებისა და მეწარმეობის მხარდაჭერის მიმართულებით. ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან, ბიზნეს სექტორთან და სახელმწიფო ინსტიტუციებთან თანამშრომლობა გადაიქცა პრაქტიკულ შედეგებად — მეტი პრაქტიკა, მეტი დასაქმება და მეტი ნდობა პროფესიული განათლების მიმართ.

მიუხედავად ჩემი დროის დეფიციტისა მუდმივად ვადევნებდი თვალყურს თქვენს ჩართულობას პროცესების წარმართვას და შესაბამისად აქტიურობასაც. სირთულეების მიუხედავად მაინც შევძელით სამუშაოების ეფექტურად შესრულება. დაწესებულება აფასებს სიახლეებზე ორიენტირებულ თანამშრომლებს და ამიტომ ძვირფასო გუნდის წევრებო მსურს პირადად გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ 2025 წელს გაწეული შრომისთვის. ეს წელი მარტივი არ ყოფილა — გზაზე იყო სირთულეებიც, განსხვავებული შედეგებიც და მნიშვნელოვანი გამოცდილებაც. ეს იყო ძალისხმევის, მოთმინების, მცირეოდენი შეცდომებისა და წინ გადადგმული ნაბიჯების წელი. ყველას ერთნაირი შედეგი არ გვქონდა, მაგრამ ყველას გვქონდა საკუთარი წვლილი იმ გზაზე, რომელსაც ერთად გავუყევით. თითოეულ თქვენგანში იყო ძალისხმევა, პასუხისმგებლობა და სურვილი, კოლეჯი წინ წასულიყო. იყო დღეები როცა ნათლად გამოჩნდა, რამდენად მნიშვნელოვანი ძალაა გუნდი, რომელიც არ ნებდება. ზოგმა განსაკუთრებული შედეგი აჩვენა, ზოგმა — მნიშვნელოვანი გაკვეთილები მიიღო, მაგრამ საერთო ჯამში ჩვენ ერთად გავიარეთ წელი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მომავალ განვითარებას. ამისთვის თითოეულ თქვენგანს გულწრფელ მადლობას გიხდით.

გისურვებთ, რომ 2026 წელს გქონდეთ უფრო მეტი რწმენა საკუთარი შესაძლებლობების მიმართ, ერთმანეთის მიმართ მეტი მხარდაჭერა, მეტი პროფესიულ წარმატება, თავდაჯერებულობა, ერთიანობა და ისეთ შედეგები, რომლითაც ყველა ვიამაყებთ. მადლობა, რომ პროფესიული განათლების განვითარების გზაზე ერთად ვდგავართ და ერთად ვიბრძვით. გისურვებთ წარმატებებს! წინ კიდევ ბევრი გამოწვევა და საინტერესო სიახლეები გველის. იმედს გამოვთქვავ, რომ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით, ჩართულობით და თანადგომით ყველა სირთულეს დავძლევთ. მადლობა მინდა ვუთხრა კოლეჯის ყველა იმ თანამშრომელს, რომლთა პროფესიონალიზმმა, ერთგულებამ და გუნდურმა მუშაობამ შესაძლებელი გახადა დაგეგმილი

ცვლილებების რეალობად ქცევა. სწორედ ადამიანური კაპიტალი არის ის მთავარი ღირებულება, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯის მდგრად წარმატებას.

მიუხედავად იმისა, რომ 2025 წელი გამოწვევებითაც იყო სავსე — როგორც ინფრასტრუქტურის, ისე რესურსების და სწრაფად ცვალებადი შრომის ბაზრის თვალსაზრისით — კოლეჯმა აჩვენა ორგანიზაციული სიმტკიცე, ადაპტაციის უნარი და განვითარებისკენ მიმართული ხედვა.

მომდევნო წელს ჩვენი მთავარი პრიორიტეტი იქნება მაღალი ხარისხი ყველა მიმართულებით და კოლეჯ „აისის“ პოზიციონირება როგორც სრულფასოვანი რეგიონული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისა, სადაც განათლება, ინოვაცია და ეკონომიკური საქმიანობა ერთიან სისტემად მუშაობს ახალგაზრდების, ბიზნესისა და კახეთის რეგიონის განვითარებისათვის.

ქალბატონებო და ბატონებო, ყველა ჩვენთაგანის ოცნებაა, რომ ერთ მშვენიერ დღეს კოლეჯი ,,აისი“ გადაიქცევა ოაზისად და პროფესიული განათლების ჰაბად, რომელზედაც ყოველთვის დადებითი ემოციებით იმსჯელებენ. ყველა ჩვენთაგანის ოცნებაა, რომ ერთ მშვენიერ დღეს კოლეჯ აისის ყველა თანამშრომელი ერთ გუნდად იქნება შეკრული. ყველა ჩვენთაგანის ოცნებაა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველა გამოწვევას შესაძლებლობად ვაქცევთ. ყველა ჩვენთაგანის ოცნებაა, რომ კოლეჯ აისის ყველა თანამშრომელი აქ ჰარმონიულად, თანაბარი შესაძლებლობებით იმსახურებს და სახელმწიფოებრივად იაზროვნებს. მადლობას ვუხდი კოლეჯის თითოეულ თანამშრომელს, სტუდენტს, პარტნიორსა და მხარდამჭერს 2025 წელს გამოცხადებული ნდობისთვის, შრომისა და საერთო მიზნებისადმი ერთგულებისთვის.

## II. კოლეჯის მისია და ხედვა

ქალბატონებო და ბატონებო, კოლეჯი „აისი“ არ მუშაობს ქაოსურად. მისიისა და ხედვის როლი ორგანიზაციის განვითარებაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სსიპ კოლეჯის „აისი“ მისია და ხედვა წარმოადგენს ორგანიზაციის სტრატეგიულ საფუძველს, რომელიც განსაზღვრავს ყველა საგანმანათლებლო, ადმინისტრაციულ და საწარმოო საქმიანობის მიმართულებას. მისია ასახავს კოლეჯის ძირითად დანიშნულებას — უმაღლესი პროფესიული სტანდარტების დანერგვისა და სტუდენტების/ მსმენელების ინტერესების პრიორიტეტიზაციის გზით, შრომის ბაზრის დაკვეთის შესაბამისად, სოფლის მეურნეობის, ინჟინერიის, ტურიზმის, მომსახურების, ხელოვნების, ბიზნეს-ადმინისტრირების, ინფორმაციის და კომუნიკაციების ტექნოლოგიების და ჯანდაცვის სფეროში მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე სპეციალისტების მომზადება, რომლებიც კრიტიკულ აზროვნებაზე დაფუძნებული ღირებულებებით, ახალი იდეებითა და პროფესიული უნარ-ჩვევებით შეძლებენ თვითრეალიზაციას მიუხედავად სქესისა, ასაკისა, საცხოვრებელი ადგილისა, შემოქმედებითად მიუდგებიან ქვეყნის ეკონომიკურ თუ გლობალურ გამოწვევებს და ხელს შეუწყობენ ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს, ხოლო ხედვა განსაზღვრავს იმ მომავალ მდგომარეობას, რომლისკენაც ორგანიზაცია მიზანმიმართულად ისწრაფვის - 2027 წლისთვის კოლეჯი „აისი“ საქართველოსა და რეგიონში იქნება ლიდერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ინოვაციური მიდგომებით, გლობალიზაციის გათვალისწინებითა და ტრადიციების შენარჩუნებით ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს და შეძლებს კახეთის რეგიონის მასშტაბით სოფლის მეურნეობის, ინჟინერიის, ტურიზმის, მომსახურების, ხელოვნების, ბიზნეს-ადმინისტრირების, ინფორმაციის და კომუნიკაციების ტექნოლოგიების და ჯანდაცვის სფეროებში შრომის ბაზრის მოთხოვნების 70%-ით დაკმაყოფილებას.

კოლეჯის მისია და ხედვა ყველა თანამშრომლისათვის უნდა იყოს არა მხოლოდ დეკლარირებული პრინციპები, არამედ ყოველდღიური მმართველობისა და ოპერატიული გადაწყვეტილებების პრაქტიკული ინსტრუმენტი. პროგრამების განვითარება, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების გაძლიერება, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და პარტნიორობის გაფართოება უნდა ხორციელდებოდეს სწორედ ამ სტრატეგიულ ჩარჩოში. ეს პროცესი აძლიერებს კოლეჯის როლს როგორც რეგიონული განვითარების აქტიურ მონაწილეს.

მისიისა და ხედვის ღრმა გააზრებამ ასევე უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციის შიდა ერთიანობა. დირექცია, მასწავლებელთა რესურსი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი, სტუდენტები და პარტნიორები უნდა მუშაობდნენ საერთო მიზნის გარშემო, რაც გაზრდის მოტივაციას, პასუხისმგებლობას და შედეგზე ორიენტირებულობას. აღნიშნულიდან გამომდინარე კოლეჯის „აისი“ მისია და ხედვა უნდა იქცეს სტრატეგიულ კომპასად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კოლეჯის განვითარება არა ფრაგმენტულად, არამედ თანმიმდევრულად, მდგრადად და რეგიონული საჭიროებების შესაბამისად.

ჩვენი ხედვა გზამკვლევია იმ მიზნის მისაღწევად, რომლისკენაც კოლეჯი ,,აისი“ უკვე წლებია დაუღალავი შრომით და დიდი ენთუზიაზმით მიიწევს. ჩვენ არ უნდა დავუშვათ განვითარებისაკენ სწრაფვის სურვილის ჩირაღდნის ჩაქრობა, რაც უნდა ძლიერი ქარი ქროდეს. ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი ბრწყინვალე ისტორია. ჩვენმა კოლეჯმა სტუდენტების წარმატებული მომავლისათვის უნდა უზრუნველყოს კიდევ უფრო მეტად უსაფრთხო და წამახალისებელი გარემოს შექმნა, განათლების სრული ხელმისაწვდომობა, ერთნაირი წარმატებული მოლოდინი ყველა დაინტერესებული მხარისათვის, სწავლა-სწავლების მაღალ სტანდარტები, მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარება. კოლეჯი ,,აისი“ დღეს გაცილებით უფრო მიმზიდველია დაინტერესებული მხარეებისათვის. აუცილებელია, წარსულს ჩაბარდეს დრო, როდესაც პროფესიული განათლება პრესტიჟულად არ ითვლებოდა და ახალგაზრდების უმრავლესობისთვის უმაღლესი განათლება იყო ერთადერთი ალტერნატივა! ჩვენ არ ვასწავლით მხოლოდ პროფესიას -ჩვენ ვზრდით ადამიანებს, რომლებიც ქმნიან ხვალინდელ ქართულ ეკონომიკას.

## III. საგანმანათლებლო საქმიანობა

ქალბატონებო და ბატონებო, 2025 წელს სსიპ კოლეჯი „აისი“ აგრძელებდა განვითარებას როგორც თანამედროვე, შედეგზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მთავარი ამოცანაა შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული კვალიფიციური კადრების მომზადება. კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობა ეფუძნებოდა თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელებსა და ბიზნესთან მჭიდრო თანამშრომლობას. სწავლების პროცესში გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტი, და დაინერგა სწავლების უფრო მოქნილი და სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები. სტუდენტთა ჩართულობა და სწავლის მოტივაცია გაიზარდა პრაქტიკული სწავლის გაფართოების შედეგად. სტუდენტებმა მიიღეს შესაძლებლობა რეალურ სამუშაო გარემოში გამოეცადათ მიღებული ცოდნა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მათი დასაქმების შანსებს სწავლის დასრულების შემდეგ.

2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კოლეჯში ირიცხებოდა 717 სტუდენტი, მათ შორის კაჭრეთის ლოკაციაზე 290 სტუდენტი, სამრეკლოს ლოკაციაზე -158 სტუდენტი, შრომის ლოკაციაზე-151 სტუდენტი, ქვემო ალვანის ლოკაციაზე -118 სტუდენტი.

2025 წლის საგაზაფხულო მიღების დროს კოლეჯში ჩაირიცხა 207 სტუდენტი, მათ შორის კაჭრეთის ლოკაციაზე - 56 სტუდენტი, სამრეკლოს ლოკაციაზე - 60 სტუდენტი, შრომის ლოკაციაზე-66 სტუდენტი, ქვემო ალვანის ლოკაციაზე -25 სტუდენტი.

2025 წლის საშემოდგომო მიღების დროს ჩაირიცხა 232 სტუდენტი, მათ შორის კაჭრეთის ლოკაციაზე - 109 სტუდენტი, სამრეკლოს ლოკაციაზე - 44 სტუდენტი, შრომის ლოკაციაზე-32 სტუდენტი, ქვემო ალვანის ლოკაციაზე -47 სტუდენტი.

2025 წლის განმავლობაში კოლეჯში ჯამურად სწავლობდა 1156 სტუდენტი, მათ შორის კაჭრეთის ლოკაციაზე - 455 სტუდენტი, სამრეკლოს ლოკაციაზე - 262 სტუდენტი, შრომის ლოკაციაზე-249 სტუდენტი, ქვემო ალვანის ლოკაციაზე -190 სტუდენტი.

2025 წლის განმავლობაში გამოშვებულია 413 სტუდენტი, მათ შორის კაჭრეთის ლოკაციაზე 146 სტუდენტი, სამრეკლოს ლოკაციაზე - 115 სტუდენტი, შრომის ლოკაციაზე-83 სტუდენტი, ქვემო ალვანის ლოკაციაზე -69 სტუდენტი.

2025 წლის განმავლობაში სტუდენტის სტატუსი შეუწყდა 73 პირს და შეუჩერდა 1 პირს.

დასაქმების წინასწარმა მაჩვენებელმა შეადგინა - 82 %

2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კოლეჯში სწავლობს 669 სტუდენტი, მათ შორის კაჭრეთის ლოკაციაზე 277 სტუდენტი, სამრეკლოს ლოკაციაზე - 129 სტუდენტი, შრომის ლოკაციაზე-150 სტუდენტი, ქვემო ალვანის ლოკაციაზე -113 სტუდენტი.

2025 წლის დასასრულს კაჭრეთის ლოკაციაზე სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლაში 16 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის 26 ჯგუფში. ამათგან საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 2023 წლის მიღების ჯგუფების სტუდენტები გადიან კლინიკური სწავლების მოდულებს კლინიკებში. დედოფლისწყაროს ფილიალში 6 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 9 ჯგუფში, ლაგოდეხის ფილიალში 6 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 12 ჯგუფში, ალვანის ფილიალში 6 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 10 ჯგუფში.

2025 წლის 1 იანვრის მდომარეობით კოლეჯში ირიცხებოდა 24 მსმენელი. სხვადასხვა მომზადების პროგრამაზე ჩაირიცხა 102 მსმენელი. სწავლა დაასრულა და სერთიფიკატი მიიღო 107 მსმენელმა. პირადი განცხადების საფუძველზე მსმენელის სტატუსი შეუწყდა 4 მსმენელს. დღეის მდგომარეობით სწავლობს 15 მსმენელი. დასაქმების მაჩვენებელმა შეადგინა 71,3 %.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ 2025 წელს გაიზარდა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, როგორც საკვალიფიკაციო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ასევე მომზადების/გადამზადების პროგრამებზე. აღნიშნული გარემოება მიუთითებს კოლეჯის პროგრამების შესაბამისობაზე შრომის ბაზრის რეალურ მოთხოვნებთან. დამსაქმებელთა უკუკავშირი ადასტურებს, რომ კოლეჯ „აისის“ კურსდამთავრებულები გამოირჩევიან პრაქტიკული უნარებით, პასუხისმგებლობითა და სამუშაო გარემოში ადაპტაციის მაღალი უნარით.

კოლეჯში სასწავლო პროცესი ხორციელდება მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოს, პროფესიული განათლების ეროვნული სტანდარტებისა და კოლეჯის მისიისა და ხედვის შესაბამისად. სასწავლო პროცესის მთავარი მიზანია სტუდენტებისთვის კონკურენტუნარიანი პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბება, რომლებიც შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. კოლეჯი ახორციელებს ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სწავლებას. დღეის მდგომარეობით კოლეჯს უფლება აქვს განახორციელოს 23 საკვალიფიკაციო და 13 მომზადების პროგრამა. პროგრამები პერიოდულად განახლდება დამსაქმებლებთან, დარგის ექსპერტებთან და სოციალური პარტნიორებთან თანამშრომლობით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი შესაბამისობა თანამედროვე მოთხოვნებთან. წლის განმავლობაში ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებში განხორციელდა ცვლილებები. პროგრამების ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით კოლეჯის მიერ განხორციელდა შესაბამისი ქმედებები. შესაბამისობაშია მოყვანილი სატყეო საქმის, კომპიუტერული ქსელის და სისტემებისა და შედუღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. იატაკისა და ფილების სამუშაოების, ელექტროობის, ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერისა და მებაღეობის პროგრამები გაგზავნილია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში და ველოდებით გადაწყვეტილებას. მიმდინარეობს მუშაობა კულინარიის, მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების, ადმინისტრაციული სერვისების, მეფუტკრეობის, ხის მხატვრული დამუშავებისა და თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების დამატება მიმდინარე წელს კოლეჯის სამოქმედო გეგმის შესაბამისად სრულად ვერ განხორციელდა. აღნიშნული პროგრამების დამატება მოხდება 2026 წლის განმავლობაში.

მნიშვნელოვანია კოლეჯში დაინერგოს დისტანციური და კომბინირებული სწავლება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა და 2026 წლიდან დაინერგება სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კონკრეტული მოდულების ფარგლებში.

წლის განმავლობაში ხორციელდებოდა საგაკვეთილო პროცესების და სტუდენტთა დასწრების მონიტორინგი. იმის გათვალისწინებით, რომ რიგ შემთხვევებში კარგ გაკვეთილებთან ერთად გვქონდა სუსტი გაკვეთილებიც და სტუდენტთა დასწრების მაჩვენებელი ზოგჯერ არასახარბიელოა პროცესების რადიკალურად შეცვლის მიზნით საჭიროა მენეჯმენტის მხრიდან ადექვატური ნაბიჯების გადადგმა.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა კონკურსების მომზადებისა და ჩატარების მიმართულებით. სოფლის მეურნეობისა და მომსახურების სფეროში ჩატარდა 8 სემინარი და ტრენინგი. სემინარების ჩატარების დროს აქტიურად იყვნენ ჩართული ჯაიკას მოხალისეები და მათ მიერ მოწვეული შესაბამისი დარგის სპეციალისტები, ხოლო ტრენინგები ჩაატარეს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენლებმა, დარგის სპეციალისტებმა შემდეგ საკითხებზე:

- სურსათით გამოწვეული დაავადებების თავიდან აცილება
- საქართველო-ივატე / ონლაინ სურსათის გაცვლის ღონისძიება შესავალი ივატეს ადგილობრივ სამზარეულოში
- იაპონური გაკვეთილები კულინარიული კულტურის შესახებ იაპონიაში
- სურსათის საერთაშორისო სტანდარტების HACCP-ისა და წინასწარი მოსამზადებელი პროგრამის შესახებ.
- ეკოსისტემა და გარემოსდაცვითი საკითხები ჩვენს ცხოვრებაში
- პოლიფენოლის ანალიზის მეთოდი და სპექტომეტრის გამოყენება
- მესხური კერძისა და პურის ცხობის მასტერკლასი
- პესტიციდების უსაფრთხო და ეფექტური გამოყენება

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის პროექტის: „საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლებისა და ტრენინგის (VET) სისტემის მოდერნიზება (მე-3 ფაზა)“ ფარგლებში, სსიპ კოლეჯის ,,აისი“ (გარემოსდაცვითი და აგრარული მიმართულებით დეფიციტური პროფესიების მიმართულებით) წარმატებული პროფესიული სტუდენტების (ნომინანტი სტიპენდიანტების) გამოსავლენად შეიქმნა საკონკურსო კომისია. კომისიაში შემოსული მასალებიდან შეირჩა 2 სტუდენტის პროექტი/პრეზენტაცია: მეფუტკრეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის დავით მამულაიშვილის - ,,გონივრული მეფუტკრეობა“ და მევენახეობა-მეღვინეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის ნინო ალადაშვილის - ,,ჭკვიანი ვენახები მევენახეობის მომავალი“, მომზადდა და გაიგზავნა კონკურსის ფარგლებში მოთხოვნილი შესაბამისი დოკუმენტაცია. აღნიშნული სტუდენტები დაჯილდოვდნენ და გადაეცათ ერთჯერადი სტიპენდია.

დუალური პროგრამების განვითარების კუთხით განხორციელდა ახალი პარტნიორების - შპს “კახური ტრადიციული მეღვინეობა“, შპს „ჭანდარი ღვინის ქარხანა“ , შპს „გრუზვინპრომი“ საწარმოების მოძიება და მათი სასწავლო პროცესებში ჩართვა.

ხარისხის და პროფორიენტაციის სამსახურების მიერ ჩატარდა შრომის ბაზრის, ადმინისტრაციის, მასწავლებელთა და სტუდენტთა/მსმენელთა კმაყოფილების და ასევე კურსდამთავრებულთა კვლევა. კვლევის მასალები განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე. კვლევები ძირითადში დადებით შედეგებს აჩვენებს.

კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის უწყვეტი გაუმჯობესება წარმოადგენს ინსტიტუციური განვითარების, ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის აუცილებელ წინაპირობას. აღნიშნული მიმართულებით რეკომენდებულია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- **სასწავლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება და განახლება** -რეკომენდებულია სასწავლო პროგრამების რეგულარული გადახედვა შრომის ბაზრის მოთხოვნების, დამსაქმებელთა უკუკავშირის და დარგობრივი განვითარების ტენდენციების

გათვალისწინებით. პროგრამების განახლება უნდა ეფუძნებოდეს პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას, სწავლების შედეგებზე ორიენტირებულ მიდგომას და პროფესიული სტანდარტების შესაბამისობას.

- **სწავლების პრაქტიკულობაზე ორიენტაციის გაძლიერება** - მიზანშეწონილია სასწავლო პროცესში პრაქტიკული სწავლების წილის გაზრდა, თანამედროვე აღჭურვილობისა და რეალური სამუშაო გარემოს მაქსიმალური იმიტაციის უზრუნველყოფა. რეკომენდებულია საწარმოო პრაქტიკის, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების და დუალური ელემენტების განვითარება.
- **დისტანციური და კომბინირებული სწავლების დანერგვა** - დისტანციური და კომბინირებული სწავლების დანერგვა დღეს მხოლოდ „ტექნოლოგიური ტრენდი" აღარ არის — ეს არის განათლების ხელმისაწვდომობის, მოქნილობისა და მდგრადობის აუცილებელი პირობა. ასეთი ტიპის სწავლება სწავლის შესაძლებლობას აძლევს რეგიონებში მცხოვრებ, დასაქმებულ, შეზღუდული გადაადგილების მქონე ადამიანებს, ამცირებს გეოგრაფიულ და სოციალურ ბარიერებს, განათლება აღარ არის „ადგილის" და „დროის" ტყვე, სტუდენტი სწავლობს მისთვის მოსახერხებელ დროსა და ტემპში, შესაძლებელია სწავლის შეთავსება სამუშაოსთან, ოჯახურ ვალდებულებებთან, სწავლა ერგება ადამიანს და არა პირიქით, სასწავლებელი ხდება უფრო თანამედროვე და მიმზიდველი, იზრდება სტუდენტთა მოზიდვის არეალი, ძლიერდება პარტნიორობა ბიზნესთან და საერთაშორისო სივრცესთან, კოლეჯი გადადის „კარგი დაწესებულებიდან" ძლიერ ინსტიტუციად
- **პედაგოგიური პერსონალის პროფესიული განვითარება** - რეკომენდებულია პედაგოგიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის თანამედროვე სწავლების მეთოდოლოგიების, შეფასების სისტემებისა და ციფრული კომპეტენციების გაძლიერების მიმართულებით. მიზანშეწონილია პრაქტიკოსი სპეციალისტების ჩართვაც სასწავლო პროცესში.
- **სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა** - მიზანშეწონილია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების გამოყენება, როგორიცაა პროექტზე დაფუძნებული სწავლება, პრობლემაზე ორიენტირებული მიდგომა და პრაქტიკული დავალებების ინტეგრირება. აღნიშნული მიდგომები ხელს შეუწყობს კრიტიკული აზროვნებისა და პროფესიული უნარების განვითარებას.
- **შეფასების სისტემის გაუმჯობესება** - რეკომენდებულია შეფასების პროცესის გამჭვირვალობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა, შედეგებზე ორიენტირებული შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით. მიზანშეწონილია ფორმატიული შეფასების ელემენტების გაძლიერება სტუდენტთა სწავლის პროცესის მხარდასაჭერად. მონიტორინგისა და მხარდაჭერის თანამედროვე სისტემების დანერგვა - მონიტორინგისა და მხარდაჭერის თანამედროვე სისტემების დანერგვა წარმოადგენს ხარისხიანი, შედეგზე ორიენტირებული და ადამიანზე მორგებული განათლების ერთ-ერთ მთავარ საფუძველს. ეს არ არის მხოლოდ კონტროლის მექანიზმი — ეს არის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის ინსტრუმენტი. ასეთ შემთხვევაში ხდება სწავლის პროცესის დროული შეფასება. ფასდება არა მხოლოდ საბოლოო შედეგი, არამედ სწავლის პროცესის მიმდინარეობაც. საშუალება გვეძლევა დროულად გამოვლინდეს სირთულეები, ჩამორჩენა, რისკები. პრობლემა არ გროვდება — ის იხსნება პროცესში. გადაწყვეტილებები მიიღება მონაცემებზე დაყრდნობით და არა სუბიექტურ შეფასებაზე. იზრდება ნდობა როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებულ მხარეებში
- **საგანმანათლებლო რესურსებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება** - რეკომენდებულია სასწავლო სივრცეების, ლაბორატორიებისა და სახელოსნოების ეტაპობრივი მოდერნიზაცია, თანამედროვე საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფა და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის ამაღლებას.

- **სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების გაძლიერება** - მიზანშეწონილია აკადემიური კონსულტაციების, მენტორინგისა და დამატებითი მხარდაჭერის მექანიზმების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა აკადემიურ წარმატებას, მოტივაციის ზრდასა და სწავლის მიტოვების მაჩვენებლის შემცირებას.
- **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გაძლიერება** - რეკომენდებულია საგანმანათლებლო საქმიანობის რეგულარული თვითშეფასება, სტუდენტთა და პედაგოგთა უკუკავშირის სისტემური ანალიზი და მიღებული შედეგების გამოყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის გაუმჯობესება უნდა ეფუძნებოდეს ხარისხზე, პრაქტიკულ შედეგებსა და სტუდენტის საჭიროებებზე ორიენტირებულ მიდგომას. აღნიშნული რეკომენდაციების ეტაპობრივი განხორციელება ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების ხარისხის ზრდას, კოლეჯის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

## IV. პროფესიული ორიენტაცია და კარიერული დაგეგმვა

დღეს მთელს მსოფლიოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სისტემურ განვითარებას. აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს იმ საკვანძო რგოლს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულ პროფესიულ არჩევანს, სწავლის პროცესში მისი კარიერული გზის გააზრებას და კურსდამთავრებულის შრომის ბაზარზე წარმატებულ ინტეგრაციას. კოლეჯის მიზანია, განათლება გადაიქცეს დასაქმებად, ხოლო კარიერული სერვისები — შედეგზე ორიენტირებულ სისტემად, რომელიც ეფუძნება მონაცემებს, დამსაქმებელთა აქტიურ ჩართულობას და სტუდენტის რეალურ საჭიროებებს. სერვის წარმოადგენს სტუდენტური წარმატების სისტემის საკვანძო რგოლს, რომელიც აკავშირებს:

**პროფესიულ არჩევანს → სწავლის პროცესს → პრაქტიკას → დასაქმებას.**

დაინტერესებული პირებისათვის კოლეჯის საგანმანათლებლო შეთავაზება არ უნდა დასრულდეს დიპლომით, არამედ გადაიზარდოს რეალურ კარიერულ შედეგებში, რაც პირდაპირ ამაღლებს კოლეჯის რეპუტაციას, დამსაქმებელთა ნდობას და ავტორიზაცია/აკრედიტაციის ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

პროფესიული ორიენტაციისა და მისაღები კონტიგენტის მოზიდვის მიზნით, წლის დასაწყისიდანვე დაიწყო პროფესიული განათლების მიღების მსურველთა ინფორმირება და კონსულტაციები როგორც ადგილზე, ასევე სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით. მთელი წლის განმავლობაში კოლეჯ „აისსა“ და მის ფილიალებში განხორციელდა კახეთის რეგიონის სხვადასხვა საჯარო სკოლების დირექტორების, მასწავლებლების და სხვადასხვა კლასების მოსწავლეების ექსკურსიები. აღნიშნული ექსკურსიები მიმდინარეობდა ღია კარის დღის ფორმატში, რაც სკოლის მოსწავლეებს საშუალებას აძლევდა გაცნობოდნენ კოლეჯის პროგრამებს, რესურსებს და შესაძლებლობებს. ჯამში 2025 წლის განმავლობაში კოლეჯში „აისი“ განხორციელდა 22 ექსკურსია, სადაც კახეთის რეგიონის 24 საჯარო სკოლის 500-მდე მოსწავლე იმყოფებოდა.

პროფორიენტაციის მიმართულებით განხორციელდა მნიშვნელოვანი შეხვედრები ვაზიანის მე-4 ქვეითი ბრიგადის ბაზაზე და ქ. თელავში, მეოთხე ეროვნული გვარდიის მე-20 ტერიტორიული კადრირებული ბრიგადის ბაზაზე. აღნიშნულ ობიექტებზე გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები სამხედრო მოსამსახურეებთან და მათი ოჯახის წევრებთან. ასევე, გურჯაანის ტექნოპარკში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა გურჯაანის მუნიციპალიტეტის 10 სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. აღნიშნულ შეხვედრებზე დამსწრე საზოგადოებას მიეწოდათ ინფორმაცია კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლის პირობების შესახებ.

2025 წელს კოლეჯმა მონაწილეობა მიიღო 8 რეგიონალური მნიშვნელობის ღონისძიებაში: 26 მაისს ქალაქ ზუგდიდში დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებაში, მთის დღეებთან დაკავშირებით თუშეთობის ღონისძიებაში, ახმეტის მუნიციპალიტეტში ტბათანობა, მეცნიერების ფესტივალი თელავში, აბრეშუმის ფესტივალი, ზეზვაობა ქვემო ალვანში, ღვინის

ფესტივალი ქ. გურჯაანში და ჭაჭის ფესტივალი ქ. თელავში. აღნიშნულ ღონისძიებებზე წარმოდგენილი იყო კოლეჯ „აისის“ და მისი ფილიალების სტუდენტების მიერ პრაქტიკული მეცადინეობის პროცესში დამზადებული პროდუქცია. პარალელურად, დამსწრე საზოგადოება იღებდა ინფორმაციას პროფესიული განათლებისა და კოლეჯ „აისში“ არსებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.

მთლიანობაში აღნიშნული აქტივობების განხორციელებით, კოლეჯ „აისისა“ და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია მიიღო 3000-ზე მეტმა ადამიანმა. დარიგდა 3000-მდე საინფორმაციო ბუკლეტი.

კარიერის დაგეგმვის, სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა კარიერული კონსულტირების და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით 2025 წელს ჩატარდა 4 საინფორმაციო შეხვედრა სხვადასხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებთან, რომელიც მოიცავდა თემებს: კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამუშაო შესაძლებლობები, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნები და მოსალოდნელი ტენდენციები, კარიერის დაგეგმვა, დასაქმების შესაძლებლობები და პერსპექტივები.

ექსტრაკურიკულური აქტივობების მიმართულებით 2025 წლის განმავლობაში განხორციელდა 40 აქტივობა. აქედან 20 განხორციელდა პროექტების ფარგლებში, 8 სხვადასხვა თემატიკის ტრენინგი და საჯარო ლექცია კოლეჯ „აისსა“ და მის ფილიალებში ჩაატარეს სხვადასხვა ორგანიზაციებმა. სპორტული მიმართულებით ჩატარდა 8 ღონისძიება ფეხბურთსა და ფრენბურში, ინტელექტუალურ-საგანმანათლებლო აქტივობების მიმართულებით ჩატარდა 2 ინტელექტუალური კონკურსი. სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაში სტუდენტები და აპლიკანტებ წლის განმავლობაში ეცნობოდნენ ლაბორატორიაში არსებულ მანქანა-დანადგარებს, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ახალი, ეფექტიანი პროდუქტის ან მომსახურების მიღება, მათი წარმოების წესის და შემდეგში მისი პრაქტიკაში განხორციელების მიზნით.

კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის მიმართულება წარმოადგენს სტუდენტზე ორიენტირებული განათლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ კომპონენტს. მიმაჩნია, რომ აღნიშნული მიმართულების გაძლიერება ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების მიმზიდველობის ზრდას, სტუდენტთა გაცნობიერებული პროფესიული არჩევანის მხარდაჭერასა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობას. შესაბამისად აუცილებელია კოლეჯმა განახორციელოს:

- **კარიერისა და პროფორიენტაციის სერვისის ინსტიტუციური გაძლიერება** - კარიერისა და სტუდენტური განვითარების ფუნქციის გაძლიერება; კარიერის დაგეგმვის, პროფორიენტაციისა და დამსაქმებლებთან თანამშრომლობის პროცესების კოორდინაციის გაძლიერება, ასევე წლიური სამოქმედო გეგმის შემუშავება და შესრულების მონიტორინგი.
- **ადრეული პროფორიენტაციის ხელშეწყობა** – მიზანშეწონილია კოლეჯის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაღრმავება პროფესიული პროფორიენტაციის მიმართულებით. რეკომენდებულია პროფესიული პროგრამების გაცნობითი შეხვედრების, ღია კარის დღეების, პრაქტიკული მასტერ-კლასებისა და საინფორმაციო აქტივობების განხორციელება, მათ შორის მშობლების ჩართულობის უზრუნველყოფით.
- **სტუდენტზე ორიენტირებული კარიერული კონსულტაცია** - მნიშვნელოვანია ინდივიდუალური კარიერული კონსულტაციების დანერგვა, რომელიც მოიცავს სტუდენტთა ინტერესების, უნარებისა და პროფესიული მოლოდინების შეფასებას. აღნიშნული პროცესი ხელს შეუწყობს სტუდენტებისთვის პერსონალური კარიერული განვითარების გეგმის ფორმირებას და მათი პროფესიული გზის გააზრებას.
- **დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გაძლიერება** - კოლეჯისთვის პრიორიტეტულია დამსაქმებელ ორგანიზაციებთან მდგრადი და შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობა. რეკომენდებულია დამსაქმებელთა ბაზის შექმნა, სტაჟირებისა და დასაქმების ხელშეწყობის

მიზნით თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება, ასევე დამსაქმებლების ჩართულობა სასწავლო პროცესში პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების მიმართულებით.

- **კურსდამთავრებულთა ქსელის განვითარება** - მნიშვნელოვანია კოლეჯის კურსდამთავრებულთა ქსელის ფორმირება და მათი ჩართულობის წახალისება კარიერული მხარდაჭერის პროცესში. წარმატებული კურსდამთავრებულების გამოცდილების გაზიარება სტუდენტებთან ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების რეალური შედეგების წარმოჩენასა და მოტივაციის ზრდას.
- **ციფრული კარიერული სერვისების განვითარება** - მნიშვნელოვანია კოლეჯის ციფრულ პლატფორმებზე კარიერისა და პროფორიენტაციის მიმართულებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. აუცილებელია კარიერის სექციის განვითარება, სადაც განთავსდება აქტუალური ვაკანსიები, სტაჟირების შესაძლებლობები და პროფესიული ორიენტაციის მხარდამჭერი რესურსები.
- **შედეგების მონიტორინგი და შეფასება** - მნიშვნელოვანია კარიერისა და პროფორიენტაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების სისტემური მონიტორინგი, მათ შორის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების, სტუდენტთა კმაყოფილებისა და დამსაქმებელთა უკუკავშირის ანალიზი. მიღებული მონაცემები უნდა იქნეს გამოყენებული მომსახურების უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით.

ამრიგად კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის სისტემური განვითარება კოლეჯის პასუხისმგებლობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს სტუდენტთა პროფესიული და სოციალური წარმატების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. აღნიშნული მიმართულების გაძლიერება ხელს შეუწყობს კოლეჯის ინსტიტუციური როლის განმტკიცებას, შრომის ბაზართან ეფექტიან დაკავშირებას და პროფესიული განათლების ხარისხის ზრდას

## V. ადამიანური რესურსი

ადამიანური რესურსები წარმოადგენს კოლეჯის უმთავრეს კაპიტალს. პროფესიონალი, მოტივირებული და განვითარებაზე ორიენტირებული გუნდი არის ის საფუძველი, რომელზეც იგება სასწავლო პროცესის ხარისხი, ინსტიტუციური მდგრადობა და კოლეჯის გრძელვადიანი განვითარება. ადამიანური კაპიტალის მართვის პროცესები მნიშვნელოვნად უკავშირდება დაწესებულების გამართულ ფუნქციონირებას და ხელს უწყობს მის ეფექტიანობას. ადამიანური კაპიტალის მართვის ზოგადი პრინციპებიდან და პრაქტიკიდან გამომდინარე დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი ერთეულების ძირითად ფუქციებს წარმოადგენს დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა, ადამიანური კაპიტალის სტრატეგიული დაგეგმვა, კომპეტენტური პერსონალის მოზიდვა თანამშრომელთა შერჩევის პროცესის განხორციელება, ახალ თანამშრომელთა ადაპტაციის მართვა, შესრულებული სამუშაოს შეფასება, პროფესიული განვითარებისა და პროფესიონალიზმის ამაღლების ხელშეწყობა, კარიერის მართვა, წახალისება, ჯანსაღი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებასა და ორგანიზაციული ღირებულებების დამკვიდრებაზე ზრუნვა, ასევე შრომით-სამართლებრივი ვალდებულებებისა და კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებებისა და გარანტიების დაცვის უზრუნველყოფა ჩვენი მიზანია კოლეჯში ეფექტიანი, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან შესაბამისი HR სისტემის დაგეგმვა, დანერგვა და განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიონალი კადრების მოზიდვას, განვითარებასა და შენარჩუნებას.

## პერსონალის სტრუქტურა და შემადგენლობა

კოლეჯში დასაქმებულია მასწავლებელთა რესურსი, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომელთა ჰარმონიულმა ურთიერთთანამშრომლობამ უნდა უზრუნველყოს სასწავლო პროცესის უწყვეტობა და ეფექტიანი მართვა. პერსონალის დაკომპლექტება ხორციელდება პროფესიული კვალიფიკაციის, პრაქტიკული გამოცდილებისა და საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო კომპეტენციების გათვალისწინებით.

მასწავლებელთა რესურსი წარმოდგენილია კვალიფიციური პროფესიული მასწავლებლებითა და დარგის პრაქტიკოსებით, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სწავლებაში. მათი გამოცდილება და პროფესიული ჩართულობა უზრუნველყოფს სწავლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

## პროფესიული განვითარება

კოლეჯი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. ანგარიშგების პერიოდში განხორციელდა:

- კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები და სემინარები;
- შიდა და გარე პროფესიული განვითარების აქტივობები;
- პედაგოგიური და მეთოდური კომპეტენციების გაძლიერება.
- მეღვინეობის მასწავლებელების ვიზიტი იტალიაში

პერსონალის განვითარება განიხილება როგორც ინსტიტუციური ინვესტიცია, რომელიც პირდაპირ აისახება სასწავლო პროცესის ხარისხზე.

## მოტივაცია და ორგანიზაციული კულტურა

კოლეჯში ჩამოყალიბებულია თანამშრომლობის, პასუხისმგებლობისა და პროფესიული ეთიკის კულტურა. მენეჯმენტი მიზანმიმართულად მუშაობს მოტივაციის გაზრდაზე, გუნდის ჩართულობაზე და თანამშრომელთა როლის გაძლიერებაზე ინსტიტუციური მიზნების მიღწევის პროცესში.

## შეფასება და ეფექტიანობა

პერსონალის საქმიანობის შეფასება უნდა ხორციელდებოდეს გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე და ორიენტირებული იყოს როგორც ინდივიდუალურ შედეგებზე, ისე საერთო ინსტიტუციურ მიზნებზე. შეფასების შედეგების გამოიყენება უნდა ხდებოდეს პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და მართვის გადაწყვეტილებების გაუმჯობესებისთვის.

## ადამიანური რესურსები როგორც სტრატეგიული უპირატესობა

ადამიანური რესურსების მართვა კოლეჯში აღიქმება არა მხოლოდ ადმინისტრაციულ ფუნქციად, არამედ სტრატეგიულ მიმართულებად, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მდგრად განვითარებას, ხარისხის ზრდასა და ინსტიტუციურ გაძლიერებას.

## შედეგები

ადამიანური რესურსების განვითარების პოლიტიკა ხელს შეუწყობს პერსონალის პროფესიული კომპეტენციების გაღრმავებას, გუნდური მუშაობის გაუმჯობესებას და კოლეჯის როგორც ძლიერი საგანმანათლებლო ინსტიტუციის ჩამოყალიბებას.

**ადამიანური რესურსების განვითარების გეგმა 2026 წლისთვის**

2026 წელს კოლეჯი „აისი“ ადამიანური რესურსების განვითარებას განიხილავს როგორც ინსტიტუციური განმტკიცების ერთ-ერთ მთავარ საყრდენს. დაგეგმილი ღონისძიებები მიზნად ისახავს პროფესიონალი, მოტივირებული და შედეგზე ორიენტირებული გუნდის ჩამოყალიბებას.

**ძირითადი მიმართულებები:**

**1. აკადემიური პერსონალის გაძლიერება**

- დარგის პრაქტიკოსების აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესში;
- პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება თანამედროვე პედაგოგიური და პრაქტიკული მეთოდების მიმართულებით;
- უცხოური გამოცდილების გაზიარება

**2. უწყვეტი პროფესიული განვითარება**

- შიდა და გარე ტრენინგების, სემინარებისა და გაცვლითი აქტივობების დაგეგმვა;
- გამოცდილების გაზიარების შიდა პლატფორმების შექმნა;
- ინდივიდუალური განვითარების გეგმების (IDP) დანერგვა.

**3. მენეჯერული და ლიდერული კომპეტენციების განვითარება**

- ადმინისტრაციული და მართვის გუნდისთვის ლიდერული უნარების გაძლიერება;
- სტრატეგიული დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში პერსონალის ჩართულობის გაზრდა.

**4. მოტივაციისა და ორგანიზაციული კულტურის გაძლიერება**

- შედეგზე დაფუძნებული შეფასებისა და უკუკავშირის სისტემების განვითარება;
- თანამშრომელთა ჩართულობისა და პასუხისმგებლობის გაზრდა ინსტიტუციური მიზნების მიღწევაში;
- პოზიტიური, ღირებულებებზე დაფუძნებული სამუშაო გარემოს შენარჩუნება.
- წახალისების მექანიზმების შემუშავება

**5. პერსონალის ეფექტიანობის შეფასება**

- ანგარიშგების მექანიზმების დახვეწა
- საქმიანობის შეფასების მექანიზმების დახვეწა;
- შეფასების შედეგების გამოყენება განვითარებისა და წახალისების პოლიტიკის გასაუმჯობესებლად.
- სამუშაო აღწერილობის დახვეწა

ქალბატონებო და ბატონებო, მე კარგად ვიცი, რომ ნებისმიერი ინსტიტუციის ძალა ადამიანებშია. შენობები შეიძლება ავაშენოთ, ტექნიკა — შევიძინოთ, პროგრამები — განვაახლოთ, მაგრამ თუ არ გვეყოლება ძლიერი, ერთგული და განვითარებაზე ორიენტირებული გუნდი, ვერ შევქმნით იმ მომავალს, რომელსაც ვხედავ კოლეჯ „აისისთვის“. სწორედ ამიტომ 2026 წელს მე, როგორც დაწესებულების ხელმძღვანელი შეგნებულად და მიზანმიმართულად ვირჩევ ადამიანურ რესურსებში ინვესტირებას. ვირჩევ პროფესიონალიზმს, პასუხისმგებლობას და ერთმანეთის მხარდაჭერას. ჩვენი ერთობლივი მიზანია შევქმნათ გუნდი, რომელიც არა მხოლოდ ასრულებს

საკუთარ ფუნქციას, არამედ აცნობიერებს საკუთარ როლს კოლეჯის როგორც ძლიერი ინსტიტუციის ჩამოყალიბებაში. **განვითარებული მასწავლებელი ქმნის ძლიერ სტუდენტს, ხოლო ძლიერი გუნდი — ძლიერ კოლეჯს.** სწორედ ამიტომ 2026 წელი იქნება წელი, როდესაც „აისი“ ადამიანურ რესურსებში ხედავს არა ხარჯს, არამედ სტრატეგიულ ინვესტიციას მომავალში**. ჩვენ ერთად ვაშენებთ კოლეჯს, სადაც პროფესიონალიზმი ერწყმის ადამიანურ ღირსებას, ცოდნა — პასუხისმგებლობას, და ყოველდღიური შრომა — დიდ მიზანს.**

## IV. ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურის განვითარება კოლეჯის სტრატეგიული პრიორიტეტია, რადგან თანამედროვე, უსაფრთხო და ფუნქციური გარემო პირდაპირ განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ხარისხს, სტუდენტთა ჩართულობასა და პრაქტიკული სწავლების ეფექტიანობას.

კოლეჯი ფლობს სასწავლო პროცესისთვის აუცილებელ ძირითად ინფრასტრუქტურას, რომელიც მოიცავს:

- სასწავლო კორპუსებსა და აუდიტორიებს;
- პრაქტიკული სწავლების სახელოსნოებსა და ლაბორატორიებს;
- ადმინისტრაციულ და დამხმარე სივრცეებს;
- საერთო სარგებლობის ზონებს სტუდენტებისა და პერსონალისთვის.

კოლეჯში ინფრასტრუქტურა ეტაპობრივად განახლდა თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო და კომფორტულ სასწავლო გარემოს.

## განხორციელებული ინფრასტრუქტურული აქტივობები:

2025 წლის პერიოდში განხორციელდა ინფრასტრუქტურული გაუმჯობესების რიგი პროექტები, მათ შორის:

- საერთო საცხოვრებლის ფასადის რეაბილიტაცია;
- სახელოსნომდე მისასვლელი გზის მოწყობა;
- სასწავლო კორპუსის სახურავის რეკონსტრუქცია;
- სასწავლო კორპუსის ლიფტის შახტის ნაგებობის საძირკვლის გამაგრება;
- სასწავლო კორპუსის გადახურვა, ეზოს მოასფალტება და ეზოს განათების მოწყობა სოფელ შრომის ლოკაციაზე;
- ეზოს მოსფალტება და ეზოს განათების მოწყობა სოფელ ქვემო ალვანის ლოკაციაზე;
- სასწავლო და პრაქტიკული სივრცეების რეაბილიტაცია/განახლება;
- ტექნიკური აღჭურვის გაუმჯობესება და სწავლების სპეციფიკაზე მორგება;

აღნიშნული ცვლილებები ხელს უწყობს როგორც სწავლების ხარისხის ზრდას, ისე სასწავლო პროცესის უწყვეტობას. ინფრასტრუქტურის განვითარება კოლეჯისათვის არის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი, რომელიც განიხილება არა როგორც სტატიკური რესურსი, არამედ როგორც ინსტიტუციური განვითარების ინსტრუმენტი**.** კოლეჯი მიზანმიმართულად გეგმავს ინფრასტრუქტურული პოტენციალის გაფართოებას, რაც უზრუნველყოფს:

- სწავლების მაღალ ხარისხს;
- პროცესებში სტუდენტთა პრაქტიკული ჩართულობის გაზრდას;
- ახალი პროფესიული პროგრამების დანერგვის შესაძლებლობას;
- პარტნიორული აქტივობებისა და პრაქტიკული პროექტების განხორციელებას;
- მყარი საფუძველის შექმნას კოლეჯის როგორც ძლიერი ინსტიტუციის შემდგომი განვითარებისათვის.

**2026 წლის გეგმები ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით**

2026 წელს კოლეჯი „აისი“ ინფრასტრუქტურის განვითარებას განიხილავს როგორც ინსტიტუციური განმტკიცების ერთ-ერთ ძირითად ბერკეტს. დაგეგმილი ღონისძიებები მიმართულია არა მხოლოდ ფიზიკური გარემოს გაუმჯობესებაზე, არამედ სასწავლო პროცესის ხარისხის, პრაქტიკული კომპონენტის და პარტნიორული თანამშრომლობის გაძლიერებაზე.

**ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით ძირითადი პრიორიტეტები:**

- **სასწავლო და პრაქტიკული სივრცეების მოდერნიზაცია**

დაგეგმილია არსებული აუდიტორიების, სახელოსნოებისა და ლაბორატორიების ეტაპობრივი განახლება პროფესიული პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების კიდევ უფრო ეფექტიან განხორციელებას.

- **ინფრასტრუქტურის გაფართოება ახალი მიმართულებებისთვის**

2026 წელს კოლეჯი გეგმავს ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების გაფართოებას. დაგეგმილია საერთო საცხოვრებლის შიდა რეაბილიტაცია, საწყობის მშენებლობა, კულინარიის ხელოვნებისა და ხილისა ბოსტნეულის გადამუშავების სახელოსნოების მშენებლობა, ეზოს მოასფალტება და გარე განათების მოწყობა.

- **ციფრული ინფრასტრუქტურის გაძლიერება**

გეგმებში შედის კომპიუტერული ტექნიკის განახლება, სასწავლო და ადმინისტრაციული ციფრული სისტემების განვითარება და ციფრული რესურსების ინტეგრაცია სასწავლო პროცესში, რაც გაზრდის როგორც სწავლების, ისე მართვის ეფექტიანობას.

- **უსაფრთხოებისა და ინკლუზიურობის გაუმჯობესება**

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შრომის უსაფრთხოების, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებისა და ინკლუზიური გარემოს გაუმჯობესებას, რათა სასწავლო სივრცე სრულად შეესაბამებოდეს თანამედროვე სტანდარტებს და იყოს ხელმისაწვდომი ყველა სტუდენტისთვის.

ამრიგად, ინფრასტრუქტურა კოლეჯ „აისისთვის“ არ არის მხოლოდ კედლები, სივრცეები და აღჭურვილობა. ეს არის მომავლის არქიტექტურა**,** სადაც ყალიბდება პროფესიული იდენტობა, ნდობა და შესაძლებლობები. 2026 წელს ინფრასტრუქტურის განვითარება მოხდება იმ ხედვის მატერიალური გამოხატულებად, რომლის მიხედვითაც კოლეჯი „აისი“ ყალიბდება ძლიერ ინსტიტუციად — ადგილად, სადაც განათლება გადადის პრაქტიკაში, იდეა — შედეგში, ხოლო სწავლა — რეალურ პროფესიულ გზად. სწორედ ამ გარემოში იზრდება სტუდენტის რწმენა საკუთარი შესაძლებლობებისადმი, გუნდის პასუხისმგებლობა საერთო მიზნების წინაშე და კოლეჯის როლი როგორც ცოდნისა და განვითარების გარანტი. ინფრასტრუქტურის გაძლიერებით „აისი“ აძლიერებს საკუთარ მომავალს.

## V. 2025 წელს მიღებული შემოსავლები და ხარჯვითი ნაწილი

ნაშთი 2025 წლის დასაწყისში კოლეჯის სახაზინო ანგარიშზე შეადგენდა 1 889 737,01 ლარს. მათ შორის ვაუჩერიდან 1 486 894, 52 ლარი; საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო - 315 845, 39 ლარი; მომზადების/გადამზადების პროგრამებიდან (ქართული და უცხოური კერძების მომზადება 18334,8 ლარი; მსუბუქი ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის მართვის მექანიზმის სერვისი 9577 ლარი; ღვინის მოვლა ტექნოლოგიური დამუშავება და ჩამოსხმა 2108 ლარი; ელექტრონული მონტაჟი საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში 7019 ლარი; სერვისი და სერვირება 7690 ლარი) 44 728,80 ლარი; პროექტებიდან (რობოტიკის კლუბი-ციფრული კომპეტენციების განსავითარებლად 31900 ლარი; სამოქალაქო განათლება შენი უფლებებისათვის 8500 ლარი; ქარსაფარი ზოლების გაშენება 1867,50 ლარი) -42 267,50 ლარი

მიღებულმა შემოსავალმა წლის განმავლობაში შეადგინა - **10 150 134, 85** ლარი

მათ შორის:

- ვაუჩერიდან-2 986 236, 81 ლარი;
- პროგრამული დაფინანსებიდან -1 813 578, 85 ლარი;
- საკუთარი სახსრებიდან - 28 084, 20 ლარი;
- საგანმან. და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან-4 707 309, 09 ლარი
- დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დაფინანსებიდან -47 484 ლარი;
- საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში განხორციელებული საორიენტაციო კურები - 41645,50 ლარი;
- მომზადების/გადამზადების პროგრამების დაფინანსებიდან (ხე-ტყის დამზადება 30964 ლარი; ღვინის მოვლა ტექნოლოგიური დამუშავება და ჩამოსხმა 7834,80 ლარი;)-38 798,8 ლარი
- სტუდენტების სტიპენდიები -5 375 ლარი;
- საგრანტო პროექტებიდან (ტრადიციული ხელოვნების ციფრული ტრანსფორმაცია -15 941 ლარი; აგრარული პროფესიული პროგრამების პოპულარიზაცია -4960 ლარი) -20 901 ლარი
- საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში (სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლაში განსახორციელებელი პროფესიული უნარების განვითარების სასერტიპიკატო კურსები-კომპიტერების პროგრამული უზრუნველყოფა -4500 ლარი; ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოება ღია და დახურულ გრუნტში -5452 ლარი) -9 952 ლარი;
- პროგრამული აღჭურვილობისათვის -450 769, 60 ლარი

ხარჯვითი ნაწილი: 2025 წელს გაიხარჯა - 4 801 441,26 ლარი;
მათ შორის:
- ვაუჩერიდან-2 624 465, 90 ლარი;
- პროგრამული დაფინანსებიდან -1 813 578, 85 ლარი;
- საკუთარი სახსრებიდან - 28 084, 20 ლარი;
- საგანმან. და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან- 94 958,66 ლარი
- დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დაფინანსებიდან -47 484,4 ლარი;
- მომზადების/გადამზადების პროგრამების დაფინანსებიდან (ხე-ტყის დამზადება 30964 ლარი; ღვინის მოვლა ტექნოლოგიური დამუშავება და ჩამოსხმა 9846.8 ლარი; ქართული და უცხოური კერძების მომზადება 18 181,80 ლარი; მსუბუქი ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის მართვის მექანიზმის სერვისი 9443,9 ლარი; ელექტრონული მონტაჟი საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში 6997 ლარი; სერვისი და სერვირება 7528 ლარი) – 82960, 6 ლარი
- სტუდენტების სტიპენდიები -5 375 ლარი;
- საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში განხორციელებული საორიენტაციო კურები - 41645,50 ლარი;
- საგრანტო პროექტებიდან (ტრადიციული ხელოვნების ციფრული ტრანსფორმაცია -11 831 ლარი; აგრარული პროფესიული პროგრამების პოპულარიზაცია -4960 ლარი; ქარსაფარი ზოლების გაშენება - 1 865,25 ლარი; რობოტიკის კლუბი-ციფრული კომპეტენციების განსავითარებლად 25 779 ლარი; სამოქალაქო განათლება შენი უფლებებისათვის 8500 ლარი;) – 52 935, 25 ლარი
- საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში (სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლაში განსახორციელებელი პროფესიული უნარების განვითარების სასერტიპიკატო კურსები-

კომპიტერების პროგრამული უზრუნველყოფა -4500 ლარი; ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოება ღია და დახურულ გრუნტში -5452 ლარი) -9 952 ლარი;

- დამფინანსებლებს უკან დავუბრუნეთ -6 662,15 ლარი

**ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით:**

- შრომითი ანაზღაურება -2 963 100,17 ლარი;
- პრემიის სახით გაიცა -131 053,60 ლარი
- საქონელი და მომსახურება - 1 337 722,24 ლარი;
- არაფინანსური აქტივები - 361 148,79 ლარი;
- სხვა ხარჯები(სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა და სტიპენდიები) -8 416,46 ლარი
- ნაშთის სახით დარჩა - 7 231 837,01 ლარი

**შესყიდვების მიმართულებით:**

2025 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსების ფარგლებში გაფორმდა 142 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით - 217 733.45 ლარი. მათ შორის: 28 924.99 ლარი ჯამური ღირებულებით კონსოლიდირებული ტენდერის, 3400 ლარი წარმომადგენლობითი ხარჯი, 70 800 ლარი ნორმატიული აქტით დადაგენილი გადასახდელები. 114608.46 ლარი მონეტარული ზღვრის დაცვით, გამარტივებული შესყიდვების საშუალებით.

საკუთარი სახსრების ფარგლებში გაფორმდა 244 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 1 041 643,70 ლარი. მათ შორის: ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდულია 507 917.26 ლარის ჯამური ღირებულების საქონელი და მომსახურება. გადაუდებელი საფუძვლით გაფორმებულია - 26 785 ლარის ხელშეკრულება, კონსოლიდირებული ტენდერით - 4 350,76 ლარის, რაციონალური ხარჯვით 505 ლარის, წარმომადგენლობითი ხარჯით - 6 100 ლარი და 495 985,68 ლარი მონეტარული ზღვრის დაცვით, გამარტივებული შესყიდვების საშუალებით.

გრანტების მუხლში სხვადასხვა პროექტის ფარგლებში დაიდო 68 437,50 ლარის ჯამური ღირებულების ხელშეკრულებები საქონელსა და მომსახურებაზე.

2025 წელს დაფინანსების სხვადახვა წყაროებით და შესყიდვის სხვადასხვა საშუალებებით შესყიდულია - 1 327 814,65 ლარის საქონელი და მომსახურება.

წლის განმავლობაში გამოცხადდა 29 ელექტრონული ტენდერი.

დადგენილ ვადაში განხორციელდა 2026 წლის საჭიროებების წარმოდგენა სამსახურების ხელმძღვანელების და პედაგოგების მხრიდან და ამ მოთხოვნების დამუშავება, რის საფუძველზეც მოხდა საჭიროებების განფასება და შედგა და დამტკიცდა 2026 წლის შესყიდვების გეგმა, რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა - 5 849 057 ლარი.

## VI. პროექტები და პარტნიორობები

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, სსიპ კოლეჯი „აისი“ წარმოადგენს კახეთის რეგიონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუციურ ბირთვს პროფესიული განათლების, დასაქმებისა და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით. კოლეჯის საქმიანობა საჭიროა გასცილდეს მხოლოდ საგანმანათლებლო ფუნქციას და დამატებით იქცეს რეგიონული განვითარების ხელშემწყობ პრაქტიკულ მექანიზმად. 2025 წელს კოლეჯმა გააძლიერა კავშირი ადგილობრივ ხელისუფლებასთან (გურჯაანი, ლაგოდეხი, ახმეტა და დედოფლისწყარო), რამაც

შემდგომ პერსპექტივაში ხელი უნდა შეუწყოს პროფესიული განათლების მიწოდებას რეგიონული შრომის ბაზრის რეალურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ეს თანამშრომლობა ქმნის წინა პირობებს ახალგაზრდების ადგილზე დასაქმებისთვის და ამცირებს მიგრაციის რისკებს რეგიონიდან. შედეგად, კოლეჯი ხდება პლატფორმა, სადაც განათლება, დასქმება და ეკონომიკა ერთიანდება. გარდა პირდაპირი დასაქმებისა, კოლეჯი ხელს უწყობს მეწარმეობის განვითარებას, ინოვაციების დანერგვას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში გააძლიერებს კახეთის ეკონომიკურ მდგრადობას. კოლეჯი „აისი“ 2025 წელს ფუნქციონირებდა არა მხოლოდ როგორც პროფესიული განათლების მიმწოდებელი, არამედ როგორც რეგიონული განვითარების სტრატეგიული პარტნიორი, რომელიც ქმნის ადამიანურ კაპიტალს, ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობის გაზრდას და კახეთის კონკურენტუნარიანობის გაზრდას ქვეყნის მასშტაბით.

2025 წელს კოლეჯში დაიგეგმა და განხორციელდა მნიშვნელოვანი შეხვედრა 10-ზე მეტ სხვადასხვა მიმართულების კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. კოლეჯში მოწვეული გვყავდა 5 სხვადასხვა კომპანიის HR მენეჯერები, რომლებმაც პროფესიულ სტუდენტებს გააცნეს თავიანთი კომპანიების სპეციფიკა, მიმდინარე ვაკანსიები და ისაუბრეს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობებზე. ამ შეხვედრებს მოყვა უკუკავშირი, რაც გამოიხატება იმაში რომ ხუთიდან ოთხ კომპანიაში დასაქმდნენ ჩვენი დამამთავრებელი ჯგუფების სტუდენტები.

სოციალური პარტნიორების ჩართულობის ამაღლების მიზნით დაორგანიზდა და ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა ბიზნეს სექტორთან. შეხვედრის მიზანი იყო, ინფორმაციის მიწოდება და ცნობიერების ამაღლება პროფესიული საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების მნიშვნელობის შესახებ, გაიმართა დისკუსია და განხილულ იქნა ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები, სადაც დამსაქმებლებმა დააფიქსირეს საკუთარი აზრი, საჭიროებები და მზაობა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

პროფესიული უნარების სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა პროფესიული პარტნიორობის საერთაშორისო კვირეული. კოლეჯმა მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ ღონისძიებაში, კერძოდ გაკეთდა პრეზენტაცია კოლეჯის შესახებ კვირეულში მონაწილე სხვადასხვა ქვეყნის პროფესიული განათლების წარმომადგენელთათვის და გაიმართა მსჯელობა ურთიერთანამშრომლობის შესახებ.

პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზიის მიმართულებით მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკებები იტალიის, საბერძნეთის და საფრანგეთის შესაბამის უწყებებთან.

2025 წელს კოლეჯის მიერ განხორციელდა მნიშვნელოვანი საგრანტო პროექტები:

- რობოტიკის კლუბი-ციფრული კომპეტენციების განსავითარებლად - პროექტის მიზანი იყო სსიპ - კოლეჯში "აისი" სტუდენტების ციფრული კომპეტენციების გაძლიერების ხელშეწყობა. პროექტში ჩართული იყო კოლეჯის 24 სტუდენტი და და მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლებაში ასზე მეტი ბენეფიციარი.
  - სამოქალაქო განათლება შენი უფლებებისათვის - პროექტის მიზანი იყო, მომხდარიყო სამოქალაქო განათლების მოდულის გაციფრულება. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ციფრული კურსი, სადაც თავმოყრილია ყველა სასწავლო რესურსი, რაც მასწავლებელს და სტუდენტს სწავლა - სწავლების პროცესში სჭირდებათ.
  - უსაფრთხო და თანასწორუფლებიანი საზოგადოებისთვის -პროექტის ფარგლებში, რომელიც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა, გაიმართა 5 დღიანი (სულ 15 საათი) ტრენინგი თემაზე: ქალთა უფლებების ხელშეწყობა, მათი ეკონომიკური გაძლიერება და ქალთა მიმართ ძალადობის შემცირება საქართველოში. პროექტის ძირითადი მიზანი იყო ქალებისა და გოგონებისთვის, კაცებისა და ბიჭებისთვის, ქალთა უფლებების შესახებ სწავლება და მათი ინფორმირებულობის ამაღლება. პროექტი ითვალისწინებდა კოლეჯის თანამშრომლების და სტუდენტების გადამზადებას, რათა მომავალში მათ შეძლონ ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმიმრებულობის გაზრდა და ქალთა უფლებების შესხებ ცოდნის გადაცემა.

- ქარსაფარი ზოლების გაშენება - პროექტის მიზანი იყო ბენეფიციარებისათვის საჭირო პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება ქარსაფარი ზოლების გაშენებაში და სადემონსტრაციო ქარსაფარი ზოლის მოწყობა. პროექტში მონაწილეობა მიიღო 17 ბენეფიციარმა
- ტრადიციული ხელოვნების ციფრული ტრანსფორმაცია - პროექტის ფარგლებში ახმეტის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეების, მათი მშობლების და კოლეჯის სტუდენტებისთვის განხორციელდა 5 სხვადასხვა მიმართულების სწავლება: თექის დამზადება, დაჩითვა, ფოტოგრაფია, სოციალური მედიის მართვა და სარეკლამო კონტენტის შექმნა, მეწარმეობის საფუძვლები და ციფრულ სივრცეში საკუთარი ბიზნესის ეფექტურად წარდგენის სპეციფიკა. პროექტში ჩართული იყო 60 -ზე მეტი ბენეფიციარი.
- აგრარული პროფესიული პროგრამების პოპულარიზაცია - პროექტის ფარგლებში განხორციელდა 9 ღონისძიება. მათ შორის 2 საინფორმაციო შეხვედრა ახმეტის და გურჯაანის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლების მცხოვრებლებთან, 2 მასტერკლასი ხილ-ბოსტნეულის გადამუშავების და მევენახეობა-მეღვინეობის პროფესიულ პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით, 2 საინფორმაციო ტური შპს „გრუზვინპრომის“ შვილობილ კომპანია „ბოლეროში“ და შპს „ქართულ აგროპროდუქტებში“, 2 ონლაინ შეხვედრა სოფლის მეურნეობის პროფესიების თანამედროვე მიღწევების, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების და საწარმოს თანამედროვე მართვის შესაძლებლობებზე და დასკვნითი ღონისძიება, სადაც მოხდა პროექტის შედეგების წარდგენა, მიღწევების აღნიშვნა, ნასწავლი გაკვეთილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაზიარება და პროექტში ჩართული მხარეების წვლილის შეფასება.
- საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში განხორციელებული საორიენტაციო კურები - პროექტი განხორციელდა კახეთის რეგიონის ხუთი მუნიციპალიტეტის (ახმეტის, თელავის, გურჯაანის, საგარეჯოს და დედოფლისწყაროს) 5 საჯარო სკოლაში 3 სხვადასხვა პროგრამით: დურგალი, კულინარია და დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების დამზადება. საორიენტაციო კურსში მონაწილეობა მიიღო მე-8 და მე-9 კლასების 75-მა მოსწავლემ.
- საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში სასერტიფიკატო კურსები- პროექტი განხორციელდა სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლაში (კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა ; ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოება ღია და დახურულ გრუნტში). სასერთიფიკატო კურსში მონაწილეობა მიიღო 30 -მა მოსწავლემ

## VII. სტრატეგიული გეგმის შესრულება

კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის და მის შესაბამისად გაწერილი 2025 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად განსაზღვრული იყო ხუთი სტრატეგიული მიზანი:

- ❖ შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების, სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების, ტრენინგკურსების შემუშავება, მათი განხორციელების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება და ინტერნაციონალიზაცია;
- ❖ კოლეჯის ადამიანური რესურსების განვითარება;
- ❖ კოლეჯის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება;
- ❖ კოლეჯის სტუდენტების/მსმენელების მხარდამჭერი ღონისძიებების განვითარება;
- ❖ კრიზისების ეფექტური მართვა.

მონიტორინგის ჯგუფმა განხორციელდა აღნიშნული მიზნების შემადგენელი ამოცანების სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ თითოეული აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებთან

გასაუბრება. ასევე განხორციელდა მათ მიერ შესასრულებელი აქტივობების შეფასება, აქტივობების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი მიზეზების იდენტიფიცირება. მონიტორინგის პროცესი იყო ღია, მასში იყო ჩართული ყველა პირი, რომელთაც ქონდათ შესაძლებლობა მიეღოთ ინფორმაცია არამხოლოდ საბოლოო, არამედ შუალედური შეფასების ეტაპზეც და სამუშაო რეჟიმში წარმოედგინათ მათი ხედვები აღნიშნულ შეფასებასთან დაკავშირებით. მონიტრორინგი განხორციელდა ოთხ ეტაპად და ოთხი კვარტალური მონიტორინგის შედეგად მიღებული ანალიტიკური პროდუქტის შეჯერების შედეგის ანალიზის საფუძველზე მომზადდა დასკვნა გაიცა რეკომენდაციები.

ოთხი კვარტლის მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯის სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელმა პირებმა მეტწილად გაართვეს თავი დასახული მიზნების შესრულებას. სამოქმედო გეგმით გაწერილ ამოცანათა უდიდესი ნაწილი სრულად შესრულდა, ზოგიერთი მათგანი ნაწილობრივ შესრულდა, ზოგი ვერ შესრულდა ობიექტური მიზეზების გამო. კოლეჯის მენეჯმენტმა, მიუხედავად მცირედი ხარვეზებისა, აჩვენეს უკიდურესად მაღალი რისკ რეზისტენტულობა, მოქნილობა და ცვალებად გარემოსთან ადაპტირებადობის მაღალი ხარისხი. ეს კი თავს მხრივ იძლევა საშუალებას, განისაზღვროს დამატებითი მიმართულებები და ამოცანები, კოლეჯის მისიისა და დეკლარირებული მიზნების შესაბამისად.

**გაცემული რეკომენდაციები:**

1. კოლეჯის მენეჯმენტის ეფექტურობის და მდგრადობის ამაღლების მიზნით სასურველია კოლეჯის მენეჯმენტისთვის და პროფესიული მასწავლებლებისათვის ჩატარდეს ტრენინგები. კერძოდ, მენეჯმენტისთვის ჩატარდეს ტრენინგები ეფექტური კომუნიკაციისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საჭირობის მიხედვით, ხოლო პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის კი პედაგოგიკის მიმართულებით.
2. მიუხედავად რეგულაციების არსებობისა, რეკომენდებულია ონლაინ/კომბინირებული სწავლების გამოყენება პილოტური ჯგუფებით.
3. რეკომენდირებულია საინფორმაციო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია: ინტერნეტის გამტარობის გაუმჯობესება, სერვერების განახლება, კოლეჯის შიდა ქსელების გამართული ფუნქციონირება.
4. დაიხვეწოს და გაუმჯობესდეს ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოების მექანიზმები.
5. გაუმჯობესდეს და სისტემატიური ხასიათი მიეცეს პროგრამების შეფასებას.
6. კოლეჯმა უზრუნველყოს ფინანსური აღრიცხვის და ანგარიშგების წარმოების ეფექტური სისტემის დანერგვა.
7. დაიხვეწოს თანამშრომელთა შესაფასების სისტემა.

## VIII. 2026 წლის პრიორიტეტები:

2026 წელს სსიპ კოლეჯი „აისი“ უნდა შევიდეს განვითარების ახალ ეტაპზე, სადაც მთავარი ამოცანა იქნება ხარისხიანი ზრდა, ფინანსური მდგრადობა და რეგიონული ლიდერობის გაძლიერება.

**ამ მიზნის მისაღწევად ძირითადი სტრატეგიული პრიორიტეტები იქნება:**

❖ **სწავლების ხარისხის ამაღლება**

- პროფესიული პროგრამების განახლება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად
- სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების გაფართოება
- პროფესათა დივერსიფიკაცია
- სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა
- შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაძლიერება

- განვითარებაზე/მხარდაჭერაზე ორიენტირებული მონიტორინგის სისტემის დანერგვა

❖ **სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლების ზრდა**

- ბიზნესთან გრძელვადიანი პარტნიორობების გაძლიერება
- სტაჟირების და პრაქტიკის  კომპონენტის გაძლიერება
- კარიერული კონსულტირების სისტემის განვითარება
- წარმატებული ქეისების სტუდენტებისა და საზოგადოებისათვის გაცნობა

❖ **ინფრასტრუქტურის განვითარება**

- სასწავლო სივრცეების მოდერნიზაცია
- სტუდენტური საცხოვრებლის გაუმჯობესება
- სასაწყობე მეურნეობის და სახელოსნოების მშენებლობა
- ლაბორატორიების, Fablab-ის და პრაქტიკული ბაზის გაძლიერება

❖ **ადამიანური კაპიტალის გაძლიერება**

- სამუშაო აღწერილობების დახვეწა;
- ადმინისტრაციული და მართვის გუნდისთვის ლიდერული უნარების გაძლიერება;
- მასწავლებლების გადამზადება;
- ახალგაზრდა პროფესიონალების მოზიდვა
- შედეგზე დაფუძნებული მოტივაციის სისტემის დანერგვა
- თანამშრომელთა ეფექტური ანგარიშს გებისა და  შეფასების სისტემის დანერგვა

❖ **ფინანსური მდგრადობა**

- ფინანსური პოლიტიკის განსაზღვრა და შესაბამისი დოკუმენტის შემუშავება
- ფინანსური აღრიცხვის და ანგარიშგების წარმოების ეფექტური სისტემის დანერგვა.
- პროექტული დაფინანსების გაზრდა (Erasmus+, დონორები, სახელმწიფო პროგრამები)
- შემოსავლების დივერსიფიკაცია
- კოლეჯის ეკონომიკური საქმიანობების განვითარება
- ინსტიტუციური სტაბილურობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების გარანტიების ამაღლება,  რისკების შემცირება და  გადაწყვეტილებების კანონიერი საფუძვლების უზრუნველყოფა

❖ **საერთაშორისო და რეგიონული პოზიციონირება**

- საერთაშორისო პარტნიორობის გაფართოება და პროფ. განათლების ინტერნაციონალიზაცია
- კახეთის რეგიონში პროფესიული განათლების პოპულარიზაციის გაძლიერება
- კოლეჯის ბრენდის და რეპუტაციის სტრატეგიული განვითარება

## IX. დასკვნითი ნაწილი

2025 წელი სსიპ კოლეჯ „აისისთვის“ იყო მნიშვნელოვანი ეტაპი გარდაქმნისა და გაძლიერების გზაზე. კოლეჯმა დაამტკიცა, რომ პროფესიული განათლება შეიძლება იყოს ერთდროულად თანამედროვე, შედეგზე ორიენტირებული და რეგიონული განვითარების რეალური ძალა.  ამ წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები — პროგრამების განვითარება, პრაქტიკული სწავლების გაძლიერება, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და პარტნიორობების გაფართოება — ქმნის მყარ საფუძველს კოლეჯის გრძელვადიანი წარმატებისთვის. ეს შედეგები არ

არის მხოლოდ სტატისტიკა; ისინი გამოხატულია სტუდენტების უკეთეს მომავალში, დასაქმებულ ახალგაზრდებში, გაძლიერებულ ბიზნესებში და რეგიონში დარჩენილ ადამიანურ კაპიტალში.

კოლეჯ „აისის“ მთავარი ღირებულება არის მისი ადამიანები — სტუდენტები, მასწავლებლები, ადმინისტრაციული გუნდი და პარტნიორები. სწორედ მათი შრომის, ნდობისა და ერთგულების შედეგად გახდა შესაძლებელი იმ მიზნების რეალიზება, რომლებიც კიდევ ცოტა ხნის წინ ამბიციურ ხედვად ითვლებოდა.

მომავალი წელი ახალი გამოწვევებითა და შესაძლებლობებით მოდის. თუმცა 2025 წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ კოლეჯ „აისს“ აქვს საკმარისი პროფესიონალიზმი, სტრატეგიული ხედვა და ადამიანური რესურსი იმისათვის, რომ განაგრძოს ზრდა, სიახლეების დანერგვა და კახეთის რეგიონისთვის მნიშვნელოვანი ღირებულების შექმნა. მიუხედავად ბევრი წარმატებისა გვქონდა ხარვეზებიც. ჯერ კიდევ რჩება გარკვეული პრობლემები სასწავლო პროცესის, ბუღალტრული აღრიცხვის, სამზარეულოს და სამეწარმეო საქმიანობის მუშაობის მიმართულებით . ასევე გარკვეული ხარვეზები შეინიშნებოდა სამუშაო რეჟიმის დაცვაში. ვფიქრობ ხელმძღვანელ პოზიციებზე მყოფი პირების მხრიდან საჭიროა უფრო მეტი გულისხმიერება, ჩართულობა და გუნდურობა. ვიმედოვნებ, რომ უახლოეს პერიოდში ყველა ეს პრობლემა მოიხსნება.

ქალბატონებო და ბატონებო, მინდა შეგახსენოთ ერთ-ერთი უნივერსიტეტის შესასვლელში განთავსებულ აბრაზე არსებული წარწერა: ,, ნებისმიერი ერის გასანადგურებლად არ არის საჭირო ატომური ბომბების ან შორეული რადიუსის რაკეტების გამოყენება. ამისთვის საჭიროა განათლების ხარისხის შემცირება და თვალის დახუჭვა, როდესაც სტუდენტი სასწავლო პროცესის მსვლელობისას და გამოცდაზე იტყუება. შემდგომში ასეთი ექიმების ხელში პაციენტები იღუპებიან, ასეთი ინჟინრების ხელში ინგრევა შენობები, ასეთი ეკონომისტების და ბუღალტრების ხელში იკარგება ფული, ასეთი მოსამართლეების და იურისტების ხელში იკარგება სამართალი. განათლების კრახი-ერის კრახია“. ჩვენი დაწესებულების მთავარი პრიორიტეტი იყო, არის და იქნება დაინტერესებული მხარეებისათვის ხარისხიანი განათლებისა და ხარისხიანი სერვისების მიწოდება. ამ მიზნის მისაღწევად ყველამ გუნდურად თავდაუზოგავად უნდა ვიშრომოთ და ვიყოთ ყველასთვის სანდო პარტნიორი. ჩვენი ავტორიტეტი განისაზღვრება არა თანამდებობით, მატერიალური შესაძლებლობებით და თუ გნებავთ მარტო პროფესიონალიზმის მაღალი ხარისხის მაჩვენებლით, არამედ, ჩვენი ცხოვრების წესით, სუფთა წარსულითა და აწყმოთი, შეუბღალავი რეპუტაციით, ჩვენი სამართლიანობით, უბრალოებით, ობიექტურობით, ყურადღებიანობით, გადაუმეტებელი პრინციპულობითა და რაც მთავარია სანდოობით. ამ ღირებულებებს გაფრთხილება სჭირდება. არ არსებობს წარმატების უნივერსალური გზა. წარმატების გასაღები ყოველდღიური შრომა, რიტმულობა და მუდმივი სწრაფვაა სრულყოფილებისაკენ და თქვენც ამისაკენ მოგიწოდებთ. წარმატება ძალიან ბევრი ფაქტორით მოდის და იზომება. მათ შორის უპირველესად დიდი ილია ჭავჭავაძის ნათქვამით და დანაბარებით: ,,ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, აბა მე დღეს ვის რა ვარგე?.“ მეგობრებო ყოველდღეს კითხეთ თქვენს თავს და თუ 365 დღიდან ნახევარზე მეტის შემთხვევაში დადებით პასუხს მიიღებთ, დამერწმუნეთ, რომ წარმატება თქვენ თვითონ მოგძებნით.

ეს ანგარიში ასახავს არა დასრულებულ გზას, არამედ მყარ საფუძველს მომავალი განვითარებისათვის. კოლეჯი „აისი“ გააგრძელებს სვლას იმ მიმართულებით, რომელიც **ახალგაზრდებს მისცემს მომავალს, რეგიონს — ძალას, ხოლო ქვეყანას — კვალიფიციურ და ღირსეულ მოქალაქეებს.**

2026 წელი კოლეჯ „აისისთვის“ იქნება არა უბრალოდ შემდეგი კალენდარული მონაკვეთი არამედ გადაწყვეტილების, პასუხისმგებლობისა და გარდაქმნის წელი. წელი, როდესაც „აისი“ გააცნობიერებს საკუთარ ძალას და იქცევა კარგი კოლეჯის სტატუსიდან ძლიერ, გააზრებულ და მდგრად ინსტიტუციად. ეს გადასვლა ემყარება წარსულის გამოცდილებას, მაგრამ სრულად არის მიმართული მომავალისკენ. წლების განმავლობაში კოლეჯმა შექმნა ნდობა სტუდენტებში, პარტნიორებში და საზოგადოებაში. 2026 წელს ეს ნდობა გარდაიქმნება სისტემურ სიმტკიცედ — მკაფიო მართვის მოდელში, ხარისხის ერთიან სტანდარტებში და გრძელვადიან სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში. სტრატეგიულად, 2026 წელი იქნება კონსოლიდაციის ეტაპი: მიღწეული შედეგების გამყარება, შიდა პროცესების ინსტიტუციონალიზაცია და კოლეჯის როლის გადაფასება

რეგიონულ და ეროვნულ საგანმანათლებლო ეკოსისტემაში. „აისი“ აღარ იქნება მხოლოდ ცოდნის მიმწოდებელი — ის გახდება განვითარების პარტნიორი, რომელიც გააერთიანებს განათლებას, პრაქტიკას და შრომის ბაზრის რეალურ საჭიროებებს.

ემოციურად, ეს წელი **ყველა თანამშრომლისთვის იქნება თვითდარწმუნების წელი. გუნდისთვის — იმის შეგრძნება, რომ გაკეთებული საქმე უკვე ქმნის სისტემას. სტუდენტებისთვის — რწმენა, რომ ისინი სწავლობენ ინსტიტუციაში, რომელსაც აქვს მომავალი. პარტნიორებისთვის — სიგნალი, რომ „აისი“ არის სანდო, პროგნოზირებადი და განვითარებაზე ორიენტირებული თანამონაწილე.** გაფართოება 2026 წელს არ ნიშნავს მხოლოდ ზრდას რაოდენობაში. ეს არის გავლენის გაფართოება — განათლების ხარისხში, პროფესიულ კულტურაში და რეგიონული განვითარების პროცესებში. სწორედ ამ წელს „აისი“ დაიწყებს საკუთარი როლის ჩამოყალიბებას ცოდნის, პრაქტიკისა და შესაძლებლობების მიმართულებით. 2026 წელი იქნება წელი, როდესაც „აისი“ ირჩევს არა მოკლევადიან წარმატებას, არამედ ინსტიტუციურ მომავალს, არჩევანს ხარისხზე, პასუხისმგებლობაზე და მდგრად განვითარებაზე. სწორედ ამ არჩევანით კარგი კოლეჯი იქცევა ძლიერ ინსტიტუციად.

**,,აისი“ სრულად უნდა გახდეს სივრცე, სადაც ცოდნა გადაიქცევა უნარად, უნარი - პროფესიად, ხოლო პროფესია-ღირსეულ ცხოვრებად. ადამიანები, რომლებიც აისში მოდიან მათი მომავალი არ უნდა იყოს შორს -ის სწორედ აქ უნდა დაიწყოს. ჩვენ ერთად ვაშენებთ კოლეჯს, სადაც პროფესიონალიზმი ერწყმის ადამიანურ ღირსებას, ცოდნა — პასუხისმგებლობას, და ყოველდღიური შრომა — დიდ მიზანს. ეს არის ჩვენი გზა ძლიერი ინსტიტუციისკენ. მჯერა, რომ კოლეჯი აისი უნდა იყოს ადგილი, სადაც სტუდენტი ხედავს საკუთარ მომავალს, თანამშრომელი — თავის როლსა და მნიშვნელობას, დამსაქმებელი — სანდო საგანმანათლებლო პარტნიორს, ხოლო საზოგადოება — რეალურ პროგრესს.**

**ძვირფასო კოლეგებო დიახ არაა შორს, როდესაც აისი გახდება ადგილი, სადაც მომავალი ჩანს, ყველა თქვენთაგანის როლი ფასდება და პროგრესი იგრძნობა.**